კრეატულობისა და შფოთვის მაჩვენებელთა კვლევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს შოთა რუსათაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან

თეონა ტოხვაძე

სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისმეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზეფსიქოლოგიის მაგისტრისაკადემიურიხარისხისმინიჭებისმოთხოვნებისშესაბამისად

სკოლისფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი,
ინკლუზიურიგანათლებისსპეციალისტი(მიმართულება: სკოლისფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **რუსუდან მირცხულავა,** ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებულიპროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

კრეატულობისა და შფოთვის მაჩვენებელთა კვლევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს შოთა რუსათაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან

აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდაკრეატულობისა და შფოთვის მაჩვენებელთა შესწავლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებში.

კვლევა ჩავატარეთ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში, რომელთა ასაკი მერყეობდა 19-დან 25 წლამდე. კრეატულობა ვიკვლიეთ ე.პ. თორენსის კრეატულობის არავერბალური და ვერბალური ტესტით, ხოლო შფოთვა - ჩ.დ.შპილბერგერის შფოთვის ტესტის მეშვეობით.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტები ხასიათდებიან უფრო მაღალი კრეატულობით, ვიდრე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტები. გამოვლინდა გენდერული სხვაობა; თეატრალური უნივერსიტეტის მამრობითი სქესის სტუდენტები უფრო მეტად კრეატულები არიან, ვიდრე მდედრობითი სქესის სტუდენტები.

რაც შეეხება შფოთვის მაჩვენებლებს სანდო სხვაობა გამოვლინდა რეაქტიული შფოთვის ქვესკალის მიხედვით, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტთა რეაქტიული შფოთვის დონე აღემატება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა რეაქტიული შფოთვის დონეს. თეატრალური უნივერსიტეტის როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის სტუდენტები უფრო მაღალ სიტუაციურ შფოთვას ავლენენ, ვიდრე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

კრეატულობასა და შფოთვის დონის მაჩვენებლებს შორის არ გამოვლინდა კორელაცია, აღინიშნა მხოლოდ შიდა ტესტური დადებითი კორელაცია კრეატულობის არავერბალურ და ვერბალურ ქვეტესტებს შორის.